ამ რამდენისამე წლის წინად ერთი ფრანგული ჟურნალი შეეკითხა მეცნიერებსა და მწერლებს: რომელი წიგნი გიყვართ და რომელი დაგაქვთ თან მოგზაურობის დროსო. ერთმა მეცნიერმა ამ შეკითხვის საპასუხოდ შემდეგი დასწერა: „მე მიყვარს შვეიცარიის მთები, რომლებიც ჩემთვის უდიდესი წიგნია; როდესაც ვსტკბები ალპების სილამაზით და სიმშვენიერით, აღარ მესაჭიროება ადამიანის დაწერილი წიგნიო“. არ შემიძლია აქვე არ გავიხსენო ერთი ჩვენი პოეტის ნათქვამიც: მე ვმუშაობ მთებში და როცა ქალაქში ვარ, უსახო კედლებს შორის მომწყვდეული, ჩემი მუზა ჩემთან აღარ არისო...

დედამიწის ზურგზედ იშვიათად ვპოვებთ ასეთს ლამაზსა და მდიდარს, სხვა და სხვანაირს ბუნებას, როგორიც ჩვენშია, მაგრამ იშვიათად თუ სადმე მოიპოვება ერი, რომელსაც ისე ნაკლებად ჰქონდეს განვითარებული წყურვილი თავის სამშობლოს შესწავლისა, მშობელ მთა-ბართან დაახლოვებისა, დედის გულიდან აღმოცენებულ სიმშვენიერის ქვრეტისა, როგორც ჩვენ ვართ. ჩვენს გარშემო აღმართულია აღმაფრენი მთები, გარს გვარტყია დაბურული იდუმალობით აღსავსე ტყენი, ჩვენს წინ გადაშლილია ათას ყვავილად აფერადებული ველები, გაუწყნარებლად გმირულის ხმით მოგვიწოდებენ მაღლიდან გადმოვარდნილო მდინარენი, ზედაგვყურებს მომხიბვლელი ლაჟვარდი ცა, სიყვარულით გალობს ჩვენთვის მოალერსე ბულბული, ნაზად გადაშლილა ცელქი ია,—მაგრამ არაფერს ვხედავთ, ბრა გვესმის რა, არას ვგრძნობთ და ოთახებში კარჩაკეტილებს, დახშულ ჰაერით გაბრუებულებს არ წარმოგვიდგენია, რომ ჩვენს კედლებს იქით არსებობს ქვეყანა ნამდვილი, მდიდარი, ლამაზი, ღაღი, სიცოცხლის და ძალის მომნიჭებელი, განმაახლებელი, აღმადგენელი.

ჩვენ დაუტყვევებივართ ჩვენს ოთახებს; მონა გავმხდარვართ განყენებულის, ფორმალურის, გარეგნულით კულტურის. დავშორდით, მოვწყდით სრულიად ბუნებას, დავივიწყეთ, რომ მიწის შვილები ვართ. რომ ბუნების გარედ ჩვენ უძლურნი, დაავადებულნი არსებანი ვართ. გვაინტერესებს მხოლოდ ხელოვნური და არა ბუნებრივი. ბუნების სიდიადეს დაშორებულნი ხელოვნურად ვქმნით უგვანო სამეფოს, სადაც ჩვენი სული ფრთაშეკვეცილია, ჩვენი გული დაკოდილი და ჩვენს ნიჭს აღარ ძალუძს შეჰქმნას რამე მძლავრი და თვალსაჩინო. ჩვენს თვალს ეკარგება სინათლის გრძნობა, სხეულს აღარ შეუძლია იგემოს საღი ჰაერი და დამბლადაცემულებივით გავიცქირებით უაზროდ, უიმედოთ; არც რას ველტვით, არც საით მივისწრაფით.

ეს უსაშინელესი ავადყოფობაა.

უნდა დავუბრუნდეთ ბუნებას, უნდა მივიდეთ დედასთან, ვემთხვიოთ მას და მის მკერდზე მოვიპოვოთ ძალა და აღდგენა. მიწამ გვშვა, მიწამ აღგვზარდა, მიწას შეუძლია ჩვენი სულის განკურნება. დედა მიწა დედაა ადამიანის არა მარტო იმიტომ, რომ საზრდოს გვაძლევს, არამედ პირდაპირ აღმოცენებულნი ვართ მიწაზე, რომელიც ასაზრდოვებს არა თუ ერთს ჩვენს სხეულს, კიდევ უფრო ჩვენს სულს. ჩვენი ჯანმთელობა, სიძლიერე, სილამაზე პირდაპირ დამოკიდებულია მისგან და ჩვენი სულიერი განწყობილება, ოცნება, შემოქმედება, ნიჭი, აღმაფრენა წარმოშობილია დედამიწისაგან. თუ მცენარეს ხიადაგი არ უვარგა და ღრმად არა აქვს გადგმული მიწაში ფესვები, იგი დამქნარი, ღონემიხდილი არარაა. ადამიანიც, რაც უფრო შორდება დედამიწას, მით უფრო ჰკარგავს ჯანს, გონებას და სიმშვენიერეს. იგი უბედურდება და ადგება გადაშენების გზას. ამის შეგნება საჭიროა განსაკუთრებით დღეს, ჩვენს დაწვრილმანებულს, ხაზსა და ფერს მოკლებულს დროში, როცა ადამიანმა დაჰკარგა სახე.

უნდა მივსდიოთ ამას, თუ გვინდა ადამიანის აღორძინება, თუ გვწადიან იმ საავადმყოფოდან გამოსვლა, რომელსაც წარმოადგენს დღევანდელი კულტურა საზოგადოდ და ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური მდგომარეობა კერძოდ. ერთიც და მეორეც ხომ ისეა ჩამოყალიბებული, რომ წარმოშობის მონა და არა ადამიანი, და თუ ვინმე შეცდომით იშვა კაცად, ისიც მალე დაასახიჩროს, დაფლითოს, უსულო ჰქნას.

უნდა მივიდეთ ბუნებასთან,—ყოველი დიდებული წარმოიშობის დედამიწისაგან, შეიგნების მასთან და გამოცხადდების ნახატად მის შემწეობით. აქტიური ძალის მოსაპოვებლად და განსავითარებლად უნდაშეუნათესავდნენ ბუნებას, რომელიც თითქმის განდევნა ქალაქიდან ახალმა ცხოვრებამ. მთელი თვეობით კარჩაკეტილებმა უნდა ვისარგებლოთ ზაფხულით მაინც და გავიდეთ სოფლად, მთებში, ტყეებში. თუ არ შეგვიძლიან მუდამ ბუნებასთან ყოფნა, ის მაინც მოვახერხოთ, რომ ხანდახან ვეწვიოთ სტუმრად და აღვიჩურჩოთ მის სიძლიერით და სილამაზით.

ამბობენ, უცხოეთში მთელი ქალაქი გადის სამოგზაუროდ ზაფხულობითო, და იშვიათად ჰნახავთ გაბათლებულს, რომ ფეხით არ გაიაროს ორასი-სამასი ვერსიო. ჩვენში კი საუბედუროდ თუ ვისმე ვუთხარით ათი ვერსის გავლა, გიჟად ჩაგთვლის. ფეხით კი არა, მატარებლითაც გვიძნელდება მცხეთაში ასვლა და იქაური მშვენიერი ადგილების და ძვირფასი ნაშთების დათვალიერება. ქალაქელ ას ინტელიგენტში ალბად ერთმაც არ იცის, თუ რა პოეტური წარმტაცი სურათები გადაეშლება თვალწინ ადამიანს მცხეთის არმაზთან!...

ერთი ბრძენი ესთეტიკოსი სწერს: „არის სიმდიდრე უძვირფასესი ყველა სხვა სიმდიდრეზე—ბუნების სიმშვენიერე, სიუხვე, უსაზღვროება“. და განა არის სამე ეს სიმდიდრე იმდენი, რამდენიც ჩვენშია? ხოლო ჩვენის საკუთარის მიზეზით ეს სიმდიდრე უფრო მიუწდომელია ჩვენთვის, ვიდრე ურიცხვი ოქრო, მარგალიტი და სხვა ძვირფასი თვალი!

სიტყვა.

ღია წერილი

მათი მაღალღირსების სომეხ-კათოლიკეთა მმართველის ბ. არხიმანდრიტ ტერ სარჭის ტერ-აბრამიანის მიმართ.

ახალციხის კათოლიკე-ქართველები, წოდებულნი სომეხ-კათოლიკეებად, მოგმართავთ თქვენს მაღალღირსებას შემდეგი წერილით.

გავლილ 1913 წლის ზაფხულში, ჩვენ მეზობელ ახალციხელ რამდენიმე ქართველ კათოლიკეს თავისი შვილები მოუნათლიათ ლათინურის წესით. გავლილ დღეებში უსახელო წერილით გაგიგიათ ეს ამბავი და შეძრწუნებულხართ. დიდის რიხით მოგითხოვიათ ამ საგანზე ნამდვილი ცნობა ჩვენი მღვდლისაგან და მასთანვე საყვედური—კიცხვა, რომ მათ თავის დროზე არ გაცნობეს ამისთანა უკანონო შემთხვევა.

ამგვარი თქვენი განკარგულება ჩვენ დიდად გვწყინს, გვაღელვებს და გვამცირებს, რადგანაც ჩვენი მოქმედება არ არის წინააღმდეგი არც სასულიერო და არც სამოქალაქო წეს-კანონისა. თქვენც კარგად მოგეხსენებათ 1905 წლის 17 აპრილის და 17 ოქტომბრის მანიფესტი სინდისის თავისუფლების შესახებ. იმავე მანიფესტის ძალით ჩვენი თხოვნისამებრ, კავკასიის უმაღლესი მთავრობისაგან ნება გვაქვს სომეხ-კათოლიკე ტიბიკონიდან გადვიდეთ რომის კათოლიკეთა ლათინურ ტიბიკონზე.

რა მოხდა ეკლესიის საწინააღმდეგო? ის, რომ კათოლიკე მშობლებმა, იმავე კათოლიკე-ეკლესიის სარწმუნოებაზე ლათინის წესის მღვდელს თავიანთი შვილები მოანათლინეს. ნუ თუ ეს დანაშაულია?!

თქვენმა მაღალ-ღირსებამ როგორც კათოლიკე-ეკლესიის ინტერესის დამცველ-მფარველმა, ამ საქმეში ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვათ. თუ თქვენ ნაციონალური ინტერესი გაქვთ სახეში, მაგნაირ გულმტკივნეულება, მოსარჩლეობა აღმოუჩინეთ იმ კათოლიკე სომხებს, რომლებზედაც დადგენილხართ უფროსად პაპი პის მე-X დეკრეტით, რომელშიც მოხსენებულია—„დაგადგენთ თქვენ სამოციქულო მმართველად სომხის გვარის კათოლიკეებზე რუსეთის იმ პერიაში“ ჩვენზე კი არავითარი უფლება არა გაქვთ, რადგან სომხები არ ვართ, მხოლოდ სარატოვის რომის-კათოლიკეთა ეპისკოპოსის დაუდევრობით მოხდა ის დიდი შეცდომა, რომ კათოლიკე ქართველებიც სამცხე-ჯავახეთისა თქვენ მმართველობაში ჩაგვრიცხეს.

ოთხი წელიწადი იცხოვრეთ ჩვენ შორის ახალციხეში, ნუ თუ არ დარწმუნდით ჩვენ ქართველ ეროვნებაზე? რა ნახეთ ჩვენ ხალხში სომხური: ზნე-ხასიათი, ენა, ჩვეულება თუ შეერთება-შეთვისება სომეხ-კათოლიკეებთან.

აგერ 85 წელმა განვლო, რაც სომეხ-კათოლიკე ერი სხვა სომხებთან ერთად გადმოსახლდნენ აზრუმის ვილაეთიდან ჩვენში და დასახლდნენ ქართველ-კათოლიკეთა სოფლების სიახლოვეს. ამ ხნის განმავლობაში ეს ორი, ერთი მორწმუნე ხალხი, თუმც ერთ მეორის სოფლიდან ორი-სამი ვერსის სიშორით სცხოვრობენ მეგობრულად, მაგრამ დღევანდლამდე არცერთი მაგალითია, რომ ქ. კათოლიკეთა რომელიმე სოფელში მომხდარიყოს მძახლობა ან მოყვრობა სომეხ-კათოლიკეებთან. საზოგადოდ, ჩვენი ხალხი უფრო სიადვილით უმძახლდება-უკავშირდება: პოლონელებს, გერმანელებს და სხვათა, ვიდრე სომეხ კათოლიკეთ... ამ ცხად ფაქტს ხომ თქვენც დაგვიმოწმებთ!

თუ აქამდის არ მოხდა ჩვენი ერთიმეორესთან შეერთება-შეთვისება, ამას შემდეგ სრულებით შეუძლებელია; რადგან ჩვენში დიდად გაცხოველებულია ეროვნული შეგნება-სიყვარული. აი, ეს ეროვნული გრძნობა-მისწრაფება გვაიძულებს ჩამოშორებას, რადგანაც სომხის ტიბიკონს ჩვენ ვერასოდეს ვერ შეურიგდებით. რამდენია ჩვენში ისეთი, რომელიც შვილებს არ ანათლინებენ სომხური წესით. სხვათა შორის შარშან ს. ვალის მცხოვრებმა გაბრიელ გოზალა-კოპიაშვილმა მოგმართათ თხოვნით, რათა ნება მიგეცათ შვილის მონათლისა ლათინურის წესით, მაგრამ უარი მიიღო. დღესაც რვა წლის ვაჟი მოუნათლავი ჰყავს. ეკლესიის კანონით კი, ბავშვი ორი კვირის განმავლობაში უნდა მოინათლოს. როდის მოეღება ბოლო ჩვენ ამისთანა შავ-ბნელ ბურუსით მოცულ აბუჩად აგდებულ მდგომარეობას?! თუმცა კი ძალა-უნებურად ვითმენთ დრომდი! მაგრამ მთელი ქვეყნის წინაშე ვღაღადებთ და ვიტყვით: აღარ გვსურს ყოფნა სომეხ-კათოლიკე ტიბიკონზე, ყოველს საშუალებას ვიღონებთ და აღარ დავრჩებით თქვენი ნაძალადევი ბატონობის ქვეშ. ჩვენი სურვილია ვიყოთ იმავე ტიპიკონზე, რომელზედაც არიან ჩვენი მოძმე: ტფილისის, ქუთაისის, ბათომის და სხვა ადგილების კათოლიკე ქართველნი...

(ხელს აწერს 14 კაცი).

ძალად სომეხ-კათოლიკე მესხნი.

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

რევოლიუციის მოლოდინში

(გაგრძელება*)

ხალხიც საშინელ გაჰირვებაში ჩავარდა. სამშობლოში ცხოვრება მდგომარეობის წყალობით აუტანელი შეიქნა და ისინიც მრავლად ეშურებიან ახალ ადგილებში საცხოვრებლად. შიდა გუბერნიებიდან აღმოსავლეთ პროვინციებში 120000 კაცი გადასახლებულა, საიდანაც 20 პრ. მცხოვრებთა რუსეთისაკენ წამოსულა ამურის მხარეში დასაბინავებლად ყველა ამას იუანშიკაი ზერგლეთ უყურებდა და მხოლოდ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე ჩინეთის კონსტიტუცია ისე გარდაექმნა, რომ თვით გამხდარიყო სრული მბრძანებელი ჩინეთში. და აი ამისთვის აარსებს კომისიას, რასაკვირველია, თავის თანამოაზრეთაგან, რომელსაც დავალებული აქვს გადასინჯოს ძველი კონსტიტუცია და მის ნაცვლად ახალი შეიმუშაოს. კომისიას მუშაობა 18 მარტს 1914 წ. უნდა დაეწყო და რაც შეიძლება მალე უნდა დაემთავრებინა თავისი სხდომები. და მართლაც, მან უკვე გამოაქვეყნა თავისი დადგენილების ზოგიერთი მუხლები, რომლის ძალითაც პრეზიდენტს განუსაზღვრელი უფლებანი ეძლევა იმპერიაში; სახელდობრ პრეზიდენტის სრულ უფლებას შეადგენს: ომის გამოცხადება, ზავის ჩამოგდება, მოქალაქეთა პოლიტიკური უფლების აყრა, დროებითი კანონების გამოცემა, პარლამენტის დათხოვა დრო და სხვა. მინისტრები კი ამავე კანონის ძალით სრულიად ემორჩილებიან ყველა საქმეში პრეზიდენტს. როგორცა ხედავთ კონსტიტუცია თუ აქამდის ქაღალდზე მაინც არსებობდა, დღეს ამ ახალი კანონის წყალობით ქაღალდზედაც აღარ არსებობს.

როგორც ზევითაც ვთქვით იუანშიკაიმ პარლამენტი დაითხოვა გასული წლის დეკემბერში, რომლის ხელ ახალი მოწვევასაც აღარავინ ფიქრობდა, მაგრამ მარტის პირველ ხანებში პრეზიდენტის მრჩევლთა და მთავრობის წარმომადგენელთა კრება მოხდა იუანშიკაის თავჯდომარეობით, სადაც დაადგინეს, რომ არ შეჰფერის: „რესპუბლიკას უპარლამენტოთ ყოფნა და რომ მისი მოწვევის გადადება ყოვლად შეუძლებელია“.

ამნაირად თვით მთავრობამ აღიარა საჭიროდ პარლამენტის მოწვევა. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს იუანშიკაის ასეთი გადაწყვეტილება, მაგრამ თუ მკითხველი გადაათვალიერებს ახალ საარჩევნო კანონს, რომლის ძალითაც უნდა მოხდეს დეპუტატების არჩევა ახალ პარლამენტში დამეთანხმება, რომ ასეთ განკარგულებაში არაფერია გასაკვირვალი. ამ ზემოხსენებულმა კრებამ აღიარა რომ საარჩევნო კანონი უნდა შეევიმუშაოთ და ამისთვის გუბერნატორებს დავვკითხოთ და მათი ჩვეისამებრ შევადგინოთ ახალი საარჩევნო კანონიო. უნდა ვიცოდეთ, რომ გუბერნატორები იუანშიკაის ყურ-მოჭრილი მონები არიან, და ამიტომაც მათ მიერ შედგენილი საარჩევნო კანონი ისევ იუანშიკაის მომხრეებს გააძლიერებს, თორემ ხალხის წარმომადგენლები იქ სრულებითაც ვერ მოჰხვდებიან. ამნაირად ეს ის იუანშიკაის დიპლომატიური ხრიკია ხალხის მოსატყუებლად გამოგონილი.

და იმ დროს, როცა მოღვაწეთა კაბინეტებში ასეთი საკითხები სწყდებოდა, ამ დროსვე „თეთრი მგლის“ ახლა უკვე პოლიტიკური ორგანიზაცია თანდათან ძლიერდებოდა და მთავრობის ჯარს ყოველ ფეხის გადადგმაზე ამარცხებდა. ხაჭინის სიცალიერის გამო მოხელეთ ჯამაგირის ნაწილი დაურიგეს მხოლოდ და ჯარს კი მთელი ორი თვის ჯამაგირი ველარ მისცეს. ამან თავის მხრით ჯარის აჯანყება გამოიწვია, რომელიც ამიერიდან „თეთრი მგლის“ მხარეს გადავიდა და მთავრობის წინააღმდეგ ერთათ იწყო მოქმედება. მხოლოდ ახლა მიხვდა მთავრობა მდგომარეობის მთელ სიდუხჭირეს და მინისტრთა თათბირზე დაადგინა, გაგზავნოს სამხრეთში მოძრაობის ჩასაქრობად მთავარი ჯარი. მაგრამ ჯარი „თეთრი მგლის“ წინააღმდეგ ვერას შვრება, რადგან თვით ეხმარება უმეტეს შემთხვევაში აჯანყებულთ. როგორც ხედავთ, რესპუბლიკის დამცველად ისევ სამხრეთი გამოდის, რომელიც ყველა აფრიალებს დროშას რესპუბლიკის დაცვისათვის და, რომელიც ძველადგანვე იცავდა თავის სამშობლოში წარმომადგენლობითს სისტემას სახელმწიფოებრივი მართვა გამგეობისას. იუანშიკაი, რასაკვირველია, ამან ძლიერ ჩააფიქრა, და თუ იგი მას წინად ყურადღებასაც არ აქცევდა დღეს უკვე ცდილობს როგორმე გაჩენისთანავე ჩაჰკლას ის მოძრაობა, რომელიც მის მიზნებს შავი აჩრდილივით წინ ეფარა. და აი მან მიჰმართა ძველ დახავსებულ წესს ბრძოლისას. იწყო მოქმედება რეპრესიებით და არიცის, თუ ამითი როგორ უფრო აღელვებს ხალხს. მან ამა წლის მარტში გამოაქვეყნა ახალი კანონი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, სადაც მთლად ზღუდავს ყოველი ჩანასახს პრესის თავისუფლებისას. ახალი კანონის ძალით გაზეთის გამომცემელმა გაზეთის გამოცემამდე, წინადწინ უნდა წარადგინოს განსაზღვრული ბე ხაზინაში; ამასთანავე ყოველი გაზეთის ნუმერი გათენებამდის უნდა წარუდგინონ ცენზორს, რომელსაც სრული უფლება აქვს პირველი შემთხვევისთანავე აკრძალოს ის ნუმერი. აკრძალულია შეეხონ გაზეთებში მთავრობისა და მის მოხელეთა მოქმედებას, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გამოცემა აკრძალული იქნება. რასაკვირველია, ეს პრესის სრულ დადუმებას მოასწავებს, რომელსაც ხალხისთვის ყოველთვის დიადი ზიანი მოუტანია ხოლმე.

ნიკ. ამესაძე.

(დასასრული იქნება)

ბუშაობა ცხოვრება ჩვენში.

როგორც ამას წინად ვწერდით, ტფილისის მეთორმეტე-მომუშავეებმა თვის პატრონებს ეკონომიური მოთხოვნილებანი წარუდგინეს. ამასთანავე მომუშავენი აცნობებდნენ, რომ თუ მოთხოვნილებანი ათ მაისამდე არ იქნება დაკმაყოფილებული, ისინი მუშაობაზე ხელს აიღებდნენ. პატრონებს მუშებისათვის არავითარი პასუხი არ შეუთვლიათ, ასე რომ დღეს მეთორმეტე მომუშავენი სამუშაოზე ხელს აიღებენ.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ზოგიერთი მომუშავე ამხანაგების მოქმედებას ხელს არ უწყობს და ჰსურთ ჩაშალონ გაფიცვა, რადგანაც პატრონები მათ წინააღმდეგ თვის ამხანაგად გახდომას, ოღონდ კი მოთხოვნილებაზე ხელი აეღოთ.

თეატრი და ხელოვნება

ი. ევდოშვილის საღამო. ხუთშაბათს, 15 მაისს ქართულ თეატრში გაიმართება ჩვენი მგოსნის ი. ევდოშვილის ფრიად საინტერესო საღამო ოთხ განყოფილებად. ლიტკიას წაიკითხავს გ. ქიქოძე შემდეგს თემაზე: „ბელგიელი მოქანდაკე კონსტანტენ მენიე“. ამ ლიტკიისათვის საგანგებოდ დამზადებულია სურათები მოქანდაკისა, რომელსაც საზოგადოებას ბუნდოვანის ჯერით უჩვენებენ. საუკეთესო ძალთა მერ ელ. ჩერქეზიშვილისა და ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება გუნიას ვოდევილი: „რაც არ მერგება, არ შემერგება“. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ს. მგალობლიშვილი, ნ. გოცირიძე, ადამიძე და სხვანი. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ი. სარაჯიშვილი, ი. ბარათაშვილი, მიხეილ კავსაძის გუნდი შეასრულებს შემდეგ სიმღერებს: „ვისია ქალი ლალამაზი“, 2) „ინდი-ფრინდი“, 3) „ბრძანა სოლომონ“, 4) „კუჭა ბედინერა“, 5) „აღსდეგ გმირთ-გმირო“, 6) „შარი-შური“, 7) „ჩემო კარგო ქვეყანავ“.

როგორცა სჩანს პროგრამა შინაარსიანია და იმედია, ჩვენი საზოგადოება დაესწრება ამ საგულისხმო საღამოს.

ქართული თეატრი. დღეს, 11 მაისს, ქართულ დრამატიულ მსახიობთა მონაწილეობით ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება ისტორიული დრამა ან. ფურცელაძისა „დიდი მოურავი“ (გიორგი სააკაძე). დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

კვირას, საღამოს 8½ საათზე ქ. ქუთაისის თეატრში გაიმართება ლექცია გ. ჯუმბურიძისა ძ თევდორე ღლონტის. ღლონტის მოხსენების—(„ქართველთა მამულის მდგომარეობა“) თეზისები დაახლოვებით შემდეგია: 1) მამულზე (ტერიტორიაზე) ჩვენი დამოკიდებულება. მამულის დაცვა მშრომელ გლეხობის დაცვაა. 2) მამული-ტერიტორიაზედ უცხოელების ბიიადრობი, მათი ხასიათი და ჩვენი პოზიცია. 3) კაპიტალიზმი არ მოასწავებს ეროვნულ მიდამოს დაკარგავს. 4) საქართველოდან ქართველების ემიგრაცია და უცხოელების იმიგრაცია—როგორც ანახრონიზმი. 5) სახელმწიფოს პოლიტიკა ჩვენ'მი, ჩვენი შეხედულობანი ამ პოლიტიკაზე. 6) ნაყოფი სახელმწ. პოლიტიკისა: რუსული ახალშენები და მისი ეკონომიური მდგომარეობა. მცირეოდენ ციფრებითი შედარება რუსულ და ქართულ სოფლების ეკონომიური მდგომარეობისა. 7) ბედი ქართული მამულ-მიდამოსი. 8) ახალი პროექტი ამ.-კავკ. საგუბ. საზღვრების გადამიჯვნისა, როგორც ლოღიკური დასკვნა დიდი ხნის მუშაობისა. 9) მდგომარეობის ნათლად წარმოდგენა. 10) ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. **ჭუმბურიძე** წაიკითხავს შემდეგ თემაზე: „ეროვნული სულის შემოქმედება გრიშაშვილის პოეზიაში“. თეზისები დაახლოვებით ასეთია: 1) ერის ფსიხიკა. 1) ერის ფსიხიკა მხოლოდ ერთი მხარეა მისი ცხოვრებისა. 2) იდეა და ფორმა როგორც ამ ცხოვრების შინაარსი და სახე. 3) იდეა-ფორმის ურთიერთ დამოკიდებულებანი 4) შემოქმედებითი ძალები მხატვრულ ნაწარმოებში უფრო სრულად და ნათლად ვითარდებიან. 5) ქართულ ხელოვნების სხვადასხვა დარგებში პოეზია უფრო განვითარებულია 6) ლექსი ამ პოეზიაში ეროვნული გრძნობის ფორმაა. 7) გრიშაშვილის ლექსის ფორმა, როგორც სხვაზე უფრო განვითარებული, მაჩვენებელია ეროვნული გრძნობის განვითარებისაც. 8) გრიშაშვილის ეროტიზმი ადრე და ეხლა. 9) პლატონიური სიყვარული გრ—ლის პოეზიაში და მისი მსგავსება პეტრარკას ასეთსავე სიყვარულთან 10) პეტრარკას ლაურა და გრიშაშვილის ოლოლი. 11) ლექსის ფორმის გამშვენება უმთავრესი მიზანია მათს პოეზიაში. 12) ქალი და ბუნების მშვენიერება. 13) ინდივიდუალიზმი და საზოგადოებრიობა გრ—ლის ლექსებში. 14) გრიშაშვილის მამულისადმი სიყვარული და 15) რას ამბობენ აკაკი, გედევანიშვილი და გრიშაშვილი ჩვენი ერის შესახებ.

დეპეშები

(დეპეშათა ბიუტერის სააგენტოსაგან).

9 მაისი.

უცხოეთი.

ლონდონი. ბუკინგენის სასახლესთან მომხდარ დემონსტრაციის გამო დაიჭირეს 46, ამათში სამი ქალი.

საზოგადოებათა პალატა. ასკვიტი აცხადებს, ჰომრულის შემასწორებელი ბილი ლორდთა პალატაში იქნება შეტანილიო. პალატამ ჰომრულის მესამე კითხვა დაიწყო.

ბუდაპეშტი. ავსტრიის დელეგაცია. პოლონელმა ბიხალმა მიმართა სამხედრო მინისტრს თხოვნით, ხელი შეუწყოს გალიციის ნეომილიტარიზმს, რაც შავარდნებისა და მსროლელთა კავშირებში გამოიხატებაო.

ვენა. „კორესპონდენც-ბიუროს“ ატყობინებენ დურაცოდგან, ალბანეთის მმართველის მიერ ესად-ფაშას სატუსაღოდან განთავისუფლების წინ ესად-ფაშა გაჩხრიკეს და იძულებულ ხყვეს ოქმზე ხელი მოეწერა, რომ ალბანეთის საქმეებში აღარ ჩაერევა. ესად-ფაშამ განაცხადა, ნეაპოლში წავალ შიაკის ოლქში გლეხთა აჯანყების ჩასაქრობადო. ჰოლანდიელი მაიორის მეთაურობით მოხალისეთა კონტრალისტთა რაზმმა, რომელშიაც 300 კაცი შედის, მოლაპარაკება გამართა გლეხებთან. გლეხებმა განაცხადეს, რომ მშვიდობიანად დაიშლებიან და 9 მაისს დურაცოში დეპუტაციას გაჰგზავნიან თავისი სურვილების გადასაცემად.

თეირანი დღეს კაბინეთის ცალკე სხდომა გამართეს რეგენტისა და შაჰის დასწრებით, რომ შაჰი სახელმწიფო საქმეებს გააცნო. სხვათა შორის მოხსენებული იქნება თეირანის დეპუტატთა საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი სენატის დაარსების შესახებ.

ბუდაპეშტი. ჰუნგრეთის დელეგაციამ სამხედრო და საზღვაო ბიუჯეტი მიიღო.

რომი. სტეფანის სააგენტოს აცნობებენ პარიზიდან, რომ საფრანგეთის მთავრობამ იტალიის რწმუნებულს დაავალა გააბათილოს ის ხმები, რომელსაც ევროპისა და ეგვიპტის პრესა ავრცელებს, ვითომ საფრანგეთის ჯარი ტიბისტიდან კოფურში მიდის, რაც საფრანგეთის გავლენის გარეშე იმყოფებაო.

ლონდონი. დერბიშაირის ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქში დამატებითი არჩევნების შედეგი: არჩეულია უნიონისტი ბადენი 6459 ხმით, ლიბერალი გოფტონი 6155 ხმით, მუშათა პარტიის წევრი 3669.

მექსიკო. ჰუერტა გადაპრილად უარს ჰყოფს, ვითომ ნიაგარის კონფერენციის მექსიკელ დელეგატებისთვის ეთქვას, პრეზიდენტობიდან გადავდგებიო.

პეკინი. იცნობებიან, რომ „თეთრი მგელი“ პროვინცია განსჯის გუნჩჟუფუს სძარცვავს.

დურაცო. ალბანიის მმართველმა სამსახურიდან გადამდგარ მინისტრებს უკანვე დაბრუნება სთხოვა. ჰასან-ბეგს ჩაბარეს დროებით სამხედრო დ შინაგან საქმეთა მინისტრების პორტფელი, რომლებიც ესად-ფაშას ჰქონდა.

რომი. დეპუტატებმა კევმა და კაპამ გარეშე საქმეთა მინისტრისადმი შეკითხვა შეიტანეს, რა მიზეზია, რომ დურაცოში ავსტრიელ ოფიცრების მეთაურობით ჯარი გადახვეს, და რა მიზეზია ესად-ფაშის დატუსაღებისაო.

ლონდონი. ნიაგარის კომისიაში ფორმალური მოლაპარაკება დაიწყო.

ბუდაპეშტი. ავსტრიის დელეგაციაში თავ. შენბერგმა განაცხადა, რომ მონარქიას არ შეუძლიან შეიარაღების შხრივ უკან ჩამორჩეს სხვებს; საჭიროა კავშირი გერმანიასთან, რომელიც უძლიერესი სახელმწიფოაო.

ბრიძი. მოვიდა ესად-ფაშა ცოლითურთ და ხვალ რომში მიდის.

ტოკიო. გენერალ გამილტონის სიტყვის გამო ახალ ზელანდიის შესახებ პრესა აღნიშნავს ინგლის-იაპონიის კავშირის შესუსტებას.

10 მაისი.

ვენა. „ნეიე-ფრეიე-პრესსე“ გაჯავრებით არჩევს იტალიელ გაზეთების ცნობებს, ვითომ ესად-ფაშის გაძევება ავსტრიელთა შეულის ბრალიაო, და გადაჭრით უარსა ჰყოფს ალბანიის მმართველისა და ავსტრია-ჰუნგრეთის დაახლოვებას.

ლონდონი. სამეფო თეატრში დილის წარმოდგენის დროს მეფე-დედოფლის დასწრებით სუფრაჟისტებს უნდოდათ დემონსტრაცია გაემართათ, ისინი ყვიროდნენ და პანკჰერსტის განთავისუფლებას მოითხოვდნენ. სუფრაჟისტები თეატრიდან გააძევეს.

ედინბურგი. ყუმბარის აფეთქებამ ეკლესიაში ფანჯრები ჩაამტვრია. ლეისნერში სასახლის დაწვის განზრახვა ჰქონდათ.

კარლსრუე. შვეიცის დედოფალი მოვიდა.

ტოკიო „ძიძი“ ამბობს, იაპონიის ახალი პოლიტიკა ჩინეთში დარწმუნებს ჩინელებსა და ევროპიელებს, რომ იაპონიის ჩინეთში ტერიტორიის შეძენა არ უნდა.

კუნძულ ხოკაიდოზედ ასი ვერსის მანძილზედ დაიწვა ტყე. დაღუპა 10 კაცი. ზარალი 3 მილიონი იენია.

ლონდონი. პოლიციის სასამართლოში ბოუსტრიცზედ სუფრაჟისტების საქმის გარჩევის დროს სუფრაჟისტებმა ისეთი ხმაურობა ასტეხეს, რომ მოსამართლე იძულებული იყო სხდომა შეეწყვიტა. მოსამართლის მაგიდას ქალებმა დაუშინეს ფქვილით სავსე პარკები და სხ. ნაციონალურ ტალონში სუფრაჟისტმა გაფუჭა ხუთი სურათი მხატვარი ბელინისა, ამავე დროს მეორე სუფრაჟისტმა გააფუჭა ორი სურათი ხელოვნების სამეფო აკადემიაში. დამნაშავენი დაატუსაღეს. ორთავე ტალონები დახურეს.

სტამბოლი. „ტასმირი-ეფკიარი“ ბეჭდავს საკუთარ ტელეგრამას სკუტარიდან, რომ ალბანელი-მაჰმადიანები უარზე არიან ქრისტიანე ბატონიშვილი თავის მმართველად მიიჩნიონ და წამოაყენეს აბდულ-ჰამიდის შვილის ბურხან-ედინის კანდიდატურა.

ლონდონი. სუფრაჟისტების პოლიციასთან შეტაკებამ სენტ-ჯემსის ბაღში დიდი არეულობა გამოიწვია. 400 სუფრაჟისტკა მჭიდროდ დარაზმული გაემართა ბუკინგემის სასახლისკენ, რომ მეფისთვის დეპუტაცია გაეგზავნათ. პანკჰერსტის დატუსაღების შემდეგ სუფრაჟისტები მათრახებით მიეტივნენ პოლიციას, რომელმაც გზა გადაუღობა. აურზაური ერთს საათს გაგრძელდა. კაცები პოლიციას მიეშველნენ.

ვენა. „კორესპონდენც-ბიუროს“ ატყობინებენ დურაცოდან, ესად-ფაშის მოსამსახურის ჩვენების გამო, ვითომ ესად-ფაშამ ოთხი კაცი გაგზავნა დურაცოში ყუმბარებით, რომ ალბანეთის მმართველი მოეკლათ. დანიშნეს გამოძიება. ესადის მამულში გაიგზავნა ყარაული, რომელმაც დაატუსაღა რამდენიმე საეჭვო პირი და დაიჭირა იარაღი და სამხედრო სურათი.

რუსეთი.

პეტერბურგი. პუტილოვის ქარხანაში ცეცხლმა სამი სახელოსნო მოსპო. ზარალი 200,000 მან. მიზეზი გაუფრთხილებლობაა.

კლიმოვიჩი. გუბერნატორის ხელმძღვანელობით მდევარი დაედევნა იმ ხუთს ბოროტ-მომქმედს, რომელთაც გაიღუკის ფოშტა-ტელეგრაფის განყოფილება გაძარცვეს და ურიადნიკი მოჰკლეს. ბოროტ-მომქმედებმა მათ მოუკლეს დარაჯი, და დაუჭრეს კლიმოვის მაზრის ბოქაული. გამოიწვიეს ადგილობრივი ისპრავნიკი დარაჯთა რაზმით, რომ განაგრძოს მათი დევნა.

მოსკოვი. გაბერ-ვლინსკი მემანქანე მუხინთან ერთად ფრენის დროს 20 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა. მუხინი მოკვდა, გაბერ-ვლინსკის დაემტვრა ფეხები და მძიმედ დაშავდა.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ სახელმწიფო კანტროლის თავმჯდომარე ხომით მოიწონა უმაღლესს დასამტკიცებლად წარსადგენად პეტერბურგის ახალი წყალ-სადენის პროექტი. ამ პროექტით, წყალი უნდა ლადოგის ტბიდან გაიყვანონ 4436130 კაცისთვის დღეში 51400000 ვედრის სახარჯავად. ხდება 47590000 მანეთი, უნდა გააკეთონ ექვსს წელს.

ბაქოს ვიცე-გუბერნატორი კამერიუნკერი პოტულოვი ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა.

ბაქო. მოვიდა პროფესორი ზაბოლოტნი შავ ჭირთან ბრძოლის მოსაწყობად. მეშვიდე დღეა, რაც ახალი ავადმყოფობა აღარა ყოფილა.

პეტერბურგი. სახალხო განათლების სათათბიროს კომისიამ მოიწონა კანონმდებლობითი წინადადება ჩრდილო-დასავლეთ მხარეში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ.

საბიუჯეტო კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი საპენსიო კასის დაარსების შესახებ.

ხარკოვი. რუსული ტეხნიკური საზოგადოების საფრენმა განყოფილებამ დაადგინა, გახსნას სამოქალაქო ავიაციური სკოლა ავიატორტეხნიკოსთა მოსამზადებლად.

პეტერბურგი. საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება გათავდა.

მოგვგვიანი გილოთეგი

ტირაჟში გამოვიდა:

95	4008	7023	10766	13295
103	4021	7101	10768	13315
288	4034	7214	10795	13331
343	4048	7310	10830	13350
703	4130	7336	11041	13416
774	4143	7356	11051	13451
803	4176	7428	11088	13533
886	4216	7489	11142	13549
895	4237	7629	11273	13560
926	4315	7713	11324	13576
1086	4454	7724	11404	13593
1107	4473	7739	11420	13613
1226	4526	7786	11528	13742
1227	4531	7876	11551	13947
1325	4562	7966	11574	14253
1381	4581	8152	11611	14318
1414	4620	8325	11683	14438
1530	4644	8368	11767	14521
1554	4735	8456	11837	14652
1557	4762	8519	11865	14745
1654	4934	8529	11877	14761
1704	4963	8655	11957	14768
1757	4968	8700	11973	14865
1956	5105	8736	11983	14904
1969	5436	8930	12031	14955
2043	5511	8953	12111	15079
2075	5532	9005	12143	15124
2108	5557	9092	12194	15127
2455	5725	9098	12215	15185
2525	5773	9146	12300	15194
2621	5808	9218	12358	15208
2638	5841	9280	12532	15263
2656	6021	9378	12545	25345
2784	6054	9507	12618	15496
2813	6070	9584	12723	15547
2877	6097	9628	12781	15600
3047	6150	9723	12858	15622
3145	6201	9985	12913	15638
3240	6233	10206	12943	15654
3273	6352	10254	12963	15700
3431	6447	10263	12976	15754
3444	6498	10328	13053	15801
3502	6510	10381	13055	15814
3598	6637	10425	13119	15906
3703	6735	10590	13135	15933
3718	6833	10668	13201	15941
3882	6837	10693	13221	15973
3924	6972	10722	13263	15992

უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

პარიზი. გენრიეტა კაიოს საქმის წინასწარი გამოძიება დასრულდა; გამომძიებელმა ყველა მასალა და საბუთი საბრალმდებლო კამერას გადასცა.

ქ-ნ კაიოს დანაშაული გარკვეულია, როგორც წინასწარ განზრახ ჩადენილი მკვლელობა; ფრანგული კანონებით ამ დანაშაულის ჩამდენს სიკვდილით დასჯა ელის. (გილოტინა).

ლიბკნეხტის ახალი ცნობები

ბერლინი. გაზ. „ფორვერტ“-ში ლიბკნეხტმა ახალი ცნობები გამოაქვეყნა ქალმეცის განსვენებულ გუბერნატორის და მინისტრის კანდიდატის ლინდენაუს მოკმედების შესახებ.

ამ განვლენიან გენერლის გადაცვალების შემდეგ გამოირკვა, რომ იგი ვალებს იღებდა, სადაც კი შესაძლო იყო, რამდენიმე მანეთიდან დაწყებულს, ათასობამდე. კონკურსმა გამოამჟღავნა, რომ კრედიტორები მხოლოდ რამდენიმე პროცენტს მიიღებენ.

ლიბკნეხტმა დაბეჭდა განსვენებულის წერილი ერთ-ერთი ექიმისადმი, რომელშიაც იგი არწმუნებს თავის კრედიტორს, რომ ვალის გადაუხდელობის სამაგიეროდ 1914 წელს პროფესორის წოდების მოპოვებს. ეს ამბები სენსაციას იწვევს.

რუსეთი

ნ. ჩხეიძის საქმე.

ნ. ჩხეიძის სისხლის სამართალში მიცემის საქმის არსებითად განხილვა სახელმწიფო საბჭოს პირველ დეპარტამენტში დანიშნულია 13 მაისისათვის.

იმავე სხდომაზე განხილული იქნება 34 დეპუტატის საქმე, რომელთაც მესამე სათათბიროს წევრად ნამყოფი გოლოლობოვი ცილისწამებას აბრალებს.

ნ. ჩხეიძეს საბჭოს პირველ დეპარტამენტმა 11 მარტს წარმოთქმულ სიტყვის შესახებ განმარტება მოსთხოვა. ჩხეიძემ შემდეგი პასუხი გაჰგზავნა:

„სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ მაცნობა სახელმწიფო საბჭოს პირველი დეპარტამენტის ჟურნალის პირი, რომლის მიხედვითაც ჩემგან მოითხოვეს პასუხი 11 მარტის სათათბიროს სხდომაზე ჩემ მიერ წარმოთქმულ სიტყვის განმარტებისა. ამის გამო საჭიროდ ვთვლი განვაცხადო, რომ „სახელმწიფო სათათბიროს დაწესებულების“ მე-14 მუხლის ძალით, მე, როგორც სახელმწიფო სათათბიროს წევრი სახელმწიფო სათათბიროს ქვემდებარე სჯა-ქმეთა გამო, მსჯელობის სრული თავისუფლებით ვსარგებლობ, და ამიტომ ზემოაღნიშნულ სიტყვისათვის, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან წარმოვსთქვი, პასუხს არ ვაგებ“.

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) თავადის იაკობ (კონა) ერისთავის ასულმა: ა) ვარაყიანი თავსაკრავი, ბ) გულისპირის არშია, ოქრო-მკედით ნაქარგი, გ) ოქრო-მკედით ნაქარგი ლეჩაქის არშია და დ) ორი ნაბეჭდი წიგნი: ხუცური ლოცვანი და მხედრული ახალი აღთქმა.

2) ნინო კლიმენტის ასულმა ბოლგარსკომ: ა) სალეჩაქო ფერადი ყვავილებით და სურათებით შემკული, ბ) საქაღალდო ფერადი ყვავილებით შემკული, გ) ოთხი ფირფიტა და ორი თითისტარა, დ) ზონრების საქსოვი ფირფიტები, ე) შინ ნაქსოვი ზონრების ნიმუშები აბრეშუმისა, 3) ფერადი მძივით ნაქსოვი ნიმუშები, ზ) ფერად აბრეშუმის ძაფით ნაქარგი ყელშანდილი და კანვაზე ნაქარგი სახეები, ც) მოვარაყებული სამი პატარა კვეცა და თავსაკრავი, თ) ორი თავსაკრავი შალისა, ყვავილებიანი (ერთი ყვითელი, მეორე წითელი), ა) ლურჯი ატლასის თავსაკრავი, ფერადი აბრეშუმის ძაფით ნაქარგი, ია) შავი ფულარის თავსაკრავი, სირმით და ფერადი აბრეშუმის ძაფით ნაქარგი, იბ) მუქი ლურჯი თავსაკრავი აბრეშუმისა, ლითონის ყვავილებით შემკული, იგ) ძველი ჟურნალები: „ცისკარი“, რამდენიმე ცალი „მნათობი“ და გაზეთი „ცუთნის დედა“ და იდ) სხვა და სხვა საბუთები.

3) კნეინა ადრონიკაშვილისამ სამი ხელნაწერი წიგნი. 4) გიორგი კოსტანტინეს ძემ თარაშვილმა ა) ქალის მათრახი (ფერადი ძაფით ნაქსოვი), ბ) ფერადი ძაფით ნაქსოვი ქისა. 5) მწერალმა კნ. ნინო ჯამბაკურ-ორბელიანისამ თავის საკუთარი სურათი. 6) დიმიტრი ერასტის ძემ ჩოლაყაშვილმა ა) ქისა ფერადი აბრეშუმის ძაფით და სირმით ნაქსოვი. 7) ალექსი რომანის ძემ მიქაძემ (ს. ბარმაკსიზი, ბორჩ. მაზრა) თეთრი ფული. 8) აბრამ პავლეს ძემ კარსლიევმა (ს. ბარმაკსიზისა ბერძენი) ნაბშაშის ეკლესიის ფოტოგრაფიული სურათი.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

რედაქტორი ნ. ჟურღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

გამოცდილ ვასწავლებელ ქალს,

რომელიც ამ ყამად კიევის ფრებელის უმაღლეს ინსტიტუტშია მსმენელად, ჰსურს სახაფხულოდ ოჯახში გაკვეთილები აიღოს. ჰკისრულობს ბავშვების ზნეობრივ, გონებრივ და ფიზიკურ აღზრას. თანახმაა ტფილისის გარედაც წავიდეს პირობების გაგება შეიძლება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, სვ. ჯუდელთან. 1204

ემიგრანტებისათვის

პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძმების პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გვხრდა კვირისა.

დილით:

„606“ და „914“

11—12 ს. შემოსაკუნება

კონსულტაციისად.

ბ. ბ. ნაგახარდიანი: 11—12 ს. ჭირუგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგახიროვი: 1—2 ს. ვაჟთა შინაგანი ავადმყ.

ზ. ა. ბ ბანახოვი: 10—11 ს. საბავშვო, ქალებისა და ბავშვებისა.

გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ნეიულებანი.

მ. გ. აგეტახიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., სამ. და ჭირურგ.

ბ. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგან ავადავშვთ და ყვავილის აცრა.

ჭეშმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვა: 1—2 ს. საბავშვო და ქალების ავადმყ.

საღამოთი:

მ. გ. აგეტახიანცი: 6—7 საათ.

რიგგა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ბ. ნაგახარდიანი. 1071

მოწმობა

ინჟინერი ტფილისი

ი. ს. პონდოევი ელისაბედის ქუჩა, 164, ბაქოს ქ. ქუთხე.

რკინის კოჭები, საქვაბე რკინა, რკინის საკუთხე, რკინა სახლის სახურავისათვის.

ტელეფონი კანტორისა № 123.

ცემენტი ასფალტი, გუდრონი, ცეცხლში გამძლე აგური და თიხა, ლურსმნები, ანჯამები და სხვა სამშენებლო მასალა. 1025

უფლებიანი

სავაჭრო სკოლა, საგუღალტრო კურსები

და ხასწავლებელი გიმნაზ. და სხვ. მოსამზადებლად

ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეპანოვისა.

მისაღები გამოცდა დანიშნულია 31 მაისს, მეცადინეობა 2 ივნისიდან. იყიდება სახელმძღვანელო მიწერ-მოწერა ბუღალტერიის შესასწავლად.

მახეიძის ქუჩა, № 36. 314

ჩვენ ყველას გადაგვივიდა ჭორფლი და სილამაზე შეგვიქმნა

ქრემისა საპნისა და კუდრის წყალობით „იმჩა“ მეტამორფოზა“

ყველგან იყიდება. მოითხოვეთ ხმოლოდ წარწერით „Imcha“.

1151 მეტალი 25376

თევზის მრეწველნი

ამ.

ძვირფასი ქვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

განკუთვნილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ძველ, საკუთარ სახლში.

იყიდება იმავე ხარისხის საქონელი, როგორც კუშკინის ქუჩაზე. 1081